საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბაშყარა

ბაშყარა, მწვერვალი მესტიის მუნიციპალიტეტში, სვანეთის კავკასიონის მთავარ ქედზე, საქართველოს და ყაბარდო-ბალყარეთის საზღვარზე. სიმაღლე 4129 მ.

აგებულია პალეოზოური გრანიტოიდებით. ბ-იდან ადილსუს ხეობაში (ბაქსანის აუზი) ეშვება ამავე სახელწოდების მყინვარი, ხოლო სამხრ-ით, მესტიაჭალის ხეობაში (ენგურის აუზი) – ლეხზირის მყინვარი.

დამახასიათებელია ნივალური ლანდშაფტი.

გ. დევდარიანი